


572  
1982



1982 ՅՐԵՎԱՆԻ ՈՒՆՆԵՐԻ ՈՒՆՆԵՐԻ

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ԳՐԱԴԱՐԱՆ





ბრწყინავს ახალი თბილისი  
 ძველი ქალაქი ქართული,  
 აყვავებული, გაშლილი,  
 ამაყად წულგუშართული.  
 შეყვანიერდება, შენდება,  
 სართულად მაიყვება სართული;  
 ბრწყინავს ახალი თბილისი—  
 ხახულთვანი, განოკნული.  
*რ. ნაძობი*

მიყვარს,  
 თბილისო,  
 შენი ცხოვრების  
 განუწყვეტელი ღელვა, დინება,  
 შრომის გუგური  
 შეუძირვების,  
 ჯერ არნახული  
 აღორძინება!  
*ქ. ჩხეიძე*

შენზე ლამაზი ვინა თქვან,  
 ნაშობო ქართველისო,  
 მზე რომ ჩაკვილის ნარგიზად,  
 ვარდებით ამოვიკვილისო.

*ქ. ჩხეიძე*


# ჩვენს ლაშქარში თბილისო,

შენს ალაყაფთან მხურს დავალაგო  
 ღეჭვებში, როგორც სისხლის წვეთები...  
 მილიონ ხმებით ხავეს ქალაქო,  
 დიდი სატახტო ხარ პოეტების!

*ნაყოი მუსყაი*

შენ სულ სხვაგვარი უნბი გაქვს,  
 სხვა ზურმუხტი და ლაღები,—  
 სამშობლოს ნატვრის თვალის ხარ,  
 თბილისო, გუნაცკლები!

*რ. ნაძობი*



19.10.19

# ლენინის მრღუნს გილოცავთ!

მოდიო, მგონებო, ტიხარებით,  
 ტადმილიტარტო ხალხში ლეჭვებად,  
 აღდგა თბილისის შემოიფარენი  
 და მზე სამშობლოს ვალერსება.  
*ნიკოზ ჩიქოყანი*

თბილისის ყველა გზა და ბილიკი  
 ხალხით სავსეა ზაფხულ-ზამთარს.  
 დედის ბულაა მკვანს წვენი თბილისი,  
 დედის ბულივით ალაღმართალი.  
*რ. ნაძობი*

ქ. მარტოშო სხვ. სხვ. სხვ.  
 სახელწოდება: 1. ალაღმართალი  
 ქ. მარტოშო





## სადღერძელო იყოს მისი

სადღერძელო იყოს მისი,  
ვინც ოცნებით იწოდა,  
ვინც პოეტის მარადიხი  
აღტაცება იცოდა.  
მოდიოდა ერთზე ასი,  
გზა გეშეენოდა დიდების,  
ჩვენ დავცალოთ ყველამ  
თასი

ზედთან არ დარიდების.  
სადღერძელო იყოს მისი,  
ვინც შიშმა ვერ დაჰზარა,  
აკადგეთ ფეხზე! ჩვენ  
თბილისი

ვადღერძელოთ ჭალარა.  
აქ სიცოცხლე და ხალისი  
ყის სხვად არ ესვენება,  
სადღერძელო იყოს მისი  
და დიდებით სხენება!

ქყოყესონ შაბაძე

# გალაკტიონი

## დაბადების 90 წელი

ბავშვებო, თქვენ ყოველდღე რაღაცას ახალს იგებთ და გრძნობთ, თუმცა ზოგი რამ თითქოს მუდამ იცოდით, ვთქვათ ის, რომ მაღლა ცაა და ძირს დედამიწა, რომ ცაზე ლამით მთვარეა და ვარსკვლავები, დღისით—მზე... მაგრამ გიფიქრიათ, რა მაღალია ცის სიღაყვარდე, ან რა ჩუმი, რა წყნარია ზოგჯერ მთვარე? ანდა ნიავის ქროღვისას გაგიგონიათ „თუ ჩუმად როგორ ესაუბრება ფოთოლს ფოთოლი?“ გაგიგონიათ „შრიადი ვერხვის, შრიადი ყანის?“



აი, „ღურჯი, ღურჯი დღე არის...“  
აი, ციხის ნანგრევებზე „აფეთქებულ ჩქეფს ბროწეული“...  
აი, „შემოდგომის ქარი უბერავს და „იღუღება მზე, იძარცვება ტყე“...  
აი, „იღუმაღ-მარადიულზე ესაუბრება ვარსკვლავს ვარსკვლავი“...  
რამდენ ასეთ რამეს იგრძნობთ, დაინახავთ და განიცდით, როცა წაიკითხავთ საქირთველის სახალხო პოეტის გაღაკტიონ ტაბიძის ლექსებს!  
ეს ლექსები მძაფრად, მძაფრად გაგრძნობინებთ სამშობლოს, მიგაზვედრებთ, რომ  
„არ ღირს მსოფლიოს მთელი სიმდიდრე ერთ გაქროლებად—სამშობლო მხარედ“.  
შეაღეთ გაღაკტიონ ტაბიძის პოეზიის კარი—„კარი ჩუქურთმებიანი კარი სტუმართმოყვარე“.

ციცილო ზამხალიძე

მხატვარი თამაზ ხუციშვილი



მხატვარი ილუზიულ ამბოქაძე

# გუგუშოვით სავსე აქლეთს

შეშით მიძიმედ დატვირთული ურემი და-  
ლმართს რომ შეუდგა, ხარებმა ტვირთის  
შემსუბუქება იგრძნეს და ნაბიჯი დაიგრძე-  
ლეს. ურემზე თეთრწვერა ბერიკაცი და ყმა-  
წვილი ისხდნენ. მოხუცი ლილინებდა, პატარა  
ბიჭი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა  
აქეთ-იქით, ეტყობოდა, პირველად იყო ქა-  
ლაქში. დიდი ხის ქვეშ შუახნის კაცი იჯდა,  
გლეხსა ჰგავდა, წინ მოზრდილი კალათა ედ-  
გა და ცარიელ გზას გაჰყურებდა.

უცებ ყმანვილმა უცნაური გუგუნი გაი-  
გონა და გაკვირვებულმა ნამოიძახა:

— პაპა, პაპა, შეხე, რა სასწაულია, ეტლს  
არც ხარედი უბია, არც ცხენი, აღმართზე  
თავისით ამოდის!


— ეგ, ჩემო კუდრაჭა, ეტლი კი არა, ახ-  
ტომობილია, თანაც მთავრობის ახტომობი-  
ლი. შიგ ალბათ ვინმე დიდი ბობოლა ზის, —  
მიუგო ბერიკაცმა.

შემხვედრმა ურემმა და ავტომობილმა  
ერთმანეთს მხარი რომ უქციეს, ზედ-  
იხედ ორჯერ ისე იგრგვინ-იქუხა, ურემზე  
მსხდომთ ეგონათ, ცის თალი ჩამოიღენათ.  
შეშინებულები ჯერ შეშაზე განვნენ, მერე,  
გონს რომ შოეგენ, უკან მიიხედეს. გადაყი-  
რავებულ ავტომობილს ბოლი ეხვია. კაცი,  
წვანა მწესუმზირით სავსე კალათა რომ  
ედგა წინ, ახლა ხელცარიელი უკანმიუხედა-  
ვად გარბოდა სადღაც, მგონი თეთრი ეკლე-  
ხისსაყენ.

— რა მოხდა, პაპა? — იკითხა თვალგა-  
ფართოებულმა ყმანვილმა. — ის რაღაც ახ-  
ტომობილი სწორ გზაზე რამ გადააყირავა?  
ან ის კაცი რატომ გარბის?!

— ეტყობა, იმ კაცმა ყუმბარები ესროლა  
ახტომობილს, — მიუგო ბერიკაცმა.

— რატომ?  
თეთრწვერა მოხუცმა მხრები აიწურა...  
ჩემო ცუგრუმელებო! იმ ყმანვილივით



ალბათ თქვენც გაინტერესებთ — რატომ?  
ჰოდა, გაიამბობთ.

ეს ამბავი დიდი ხნის წინათ მოხდა, 1919  
წლის შემოდგომის დამდეგს, როცა საქარ-  
თველოში ხელისუფლებმა მენშევიკების პარ-  
ტიას ეყურა, რუსეთში კი თითქმის ორი  
წლის დამყარებული იყო მუშათა და გლეხ-  
თა ქომავი საბჭოთა ხელისუფლება, რომ-  
ლის სულისჩამდგმელი და ბელადი იყო დი-  
დი ლენინი. ნითელ რუსეთს, როგორც იმ  
დროს ეძახდნენ მას, დაუნდობლად ებრძოდ-  
ნენ გარეშე მტრები და თეთრგვარდნილები.

და, აი, თბილისში ჩამოვიდა თეთრგვარდი-  
ელი გენერლის, დენიკინის ჯარის ერთ-ერ-  
თი მეთაური, გენერალი ბარათოვი, რომელ-  
მაც მენშევიკების მთავრობას სთხოვა დენი-  
კინს დაეხმარეთ. მთავრობა დაეთანხმა.

მაშინ საქართველოში მყოფმა ბოლშევი-  
კებმა ბარათოვის თავიდან მოშორება განი-  
ზრახეს და ეს ცნობილ ბოლშევიკ რევოლუ-  
ციონერს არკადი ელბაქიძეს დაავალეს. არ-  
კადი ელბაქიძემ უბრალო გლეხის ტანსაც-  
მელი მოირგო, კალათა დაიჭირა და ვითომ  
ქუჩაში მზესუმზირას ყიდდა, ბარათოვის  
გამოჩენას დაელოდა. აბა, ვინ მიუხედაბო-  
და, მზესუმზირაში ყუმბარები რომ ჰქონდა  
დამალული.

ბარათოვიც ავტომობილი რომ გამოჩნდა,  
არკადიმ სწრაფად ჩაყო ხელი კალათაში და  
ყუმბარების სატყორცნელად მოემზადა, მაგ-  
რამ სწორედ ამ დროს დაინახა, რომ ავტო-



მობილს შეშით დატვირთული ურემი გაუსწორდა. იმ წუთას რომ ეტყორცნა ყუმბარები, გენერალსა და მის თანამგზავრებს უეჭველად გამოასალმებდა სიცოცხლეს, მაგრამ ურემზე მსხდომ ბერიკაცსა და ბიჭუნასაც დახოცავდა. არკადიმ უთუოდ გაიფიქრა: უდანაშაულო ადამიანები რატომ დაეღუპოო და ყუმბარების სროლა დააყოვნა, სანამ ურემი და ავტომობილი ერთმანეთს არ დაშორდნენ. ეს დაგვიანება საბედისწერო გამოდგა. მართალია, ავტომობილი დაიმსხვრა, თეთრგვარდიელი გენერალი დაიჭრა და მისი თანამგზავრებიც დაშავდნენ, მაგრამ... სასიკვდილოდ — არა. არკადისაც გაქცევაში წელი შეეშალა — დაგვიანებამ გეზი აცვლევინა. ეკლესიასთან რომ მიიბრინა, შეიარაღებულმა პოლიციელებმა გადაუჭრა გზა, და ისიც ფერდობით მტკვრისაკენ დაეშვა.

დაედევნენ.  
ხილზე რომ გადაიბრინა, ახლა სხვები გადაუდგნენ.  
არკადი რიონისპირა სოფელში იყო გარბილი. ცურვა ბავშვობიდანვე კარგად

იცოდა და ხილიდან თამამად გადაეშვა მტკვარში. ერთხანს ჩაყვინთულმა იცურა, მაგრამ უშაეროდ როდემდე გაძლებდა! თავი ამოყო და... იმ წუთას ესროლეს. მისმა სისხლმა შელგა მტკვრის ტალღები.

სადაც ეს ამბავი მოხდა, დღეს იმ აღმართს და აღმართისაკენ მიმავალ ახალ ხილსაც არკადი ელბაქიდის სახელი ჰქვია. ქუჩად და ხილად იქცა ადამიანი.

აი, ასეთ პატივს სცემს ხალხი მისი სიკეთისათვის მებრძოლ ადამიანებს. ადამიანი სომე მანამდე ცოცხლობს, სანამ ვინმეს ახსოვს. ხოლო ვის სახელსაც ქუჩას ან ხილს არქმევენ, ის ხალხს მუდამ ემახსოვრება.

პაპაი გოჭაიძე



**გივი ზამბაქოვი**

**ირაკლის გასაჭირი**

რა ვუყო, როგორ მოვიქცე  
რა გასაჭირში ჩავვარდი,  
როცა თბილისში დავდივარ,  
სოფელში მინდა ნავარდი.  
მე არ მასვენებს სოფელზე  
ოცნება მთელი ზამთარი,  
და მენატრება სოფელი,  
მისი დარი და ავდარი.  
მაგრამ იქ ჩავალ თუ არა,  
ჯერ არ გასულა ივნისი,  
ჩემი თბილისი მეძახის,  
და მენატრება თბილისი!

**როცა ლაშა გაიზრდება**

გუშინ მაღლა მაშის გვერდით  
ხარაჩოზე იდგა ლაშა,  
მამას აგურს აწოდებდა,  
ხელში ქაფჩაც ათამაშა.  
ლაშამ თბილისს გადმოხედა  
და თვალები აფოფინა,  
ეს თბილისი ზემოდანაც  
მშვენიერი რამ ყოფილა!  
როცა ლაშა გაიზრდება,  
ისევ ავა ხარაჩოზე,  
რომ მამიკოს მიეხმაროს  
და თბილისულ კალატოზებს!



ბავშვებო, თბილისის ძველ  
ყბანში, ერთ ძველ სახრში  
გაიხსნა მანომენტების  
თეატრი.

მანომენტებიც თოჯინე-  
ბია, თქონებ სხვადაიწი.

ყოველ რაიოთ თეატრში მუშაობენ  
თოჯინები.



მუშავენი



ყახარი



მომსახივნი  
მედი



მანია



თუ რაღომ არიან მანომენტები  
სხვადაიწი თოჯინები,  
თქვენ ამას გაიგებთ შეძრებ  
ბუნებზე.



**საქართველოს**  
მედიკოსთა კავშირების

მედიკოსთა კავშირების მიზანშეწონილია საქართველოს  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და  
მედიკოსთა პროფესიული მომზადება. ამ მიზნების  
შედეგად უზრუნველდება მოსახლეობის ჯანდაცვის  
სერვისის ხარისხის ამაღლება და მედიკოსთა მუშაობის  
ეფექტურობის გაზრდა.



საქართველოს მედიკოსთა კავშირების მიზანშეწონილია საქართველოს  
საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის განვითარება და  
მედიკოსთა პროფესიული მომზადება. ამ მიზნების  
შედეგად უზრუნველდება მოსახლეობის ჯანდაცვის  
სერვისის ხარისხის ამაღლება და მედიკოსთა მუშაობის  
ეფექტურობის გაზრდა.



ამ ხელსაწყოთ, რომითაც ხერხი ქვირილ,  
 ხელსაწყო „ვაგა“ ჰქვია. ქართული  
 ესევე სახელი ვინ მოჰყვამოდა. ძველად  
 შთხმვით, რამდენადაც ეს ამ ხელსაწყოთ ქა-  
 თული სახელი რაინდობით. ნიშნისა  
 მაქრომანს ვინცით. ანუ გავხიდავ.



რევანს გაბრიაძე ცნობილი ქართველი კინოსცენარისტი. მისი სცენარე-  
 ბის მიხედვით გადაღებულია ბევრი ფილმი: «შერეკილები», «არაჩვეულებრი-  
 ვი გამოფენა», «არ დაიდარდო» და სხვა.

ახლა რევანს გაბრიაძე ხელმძღვანელობს მარიონეტების თეატრს. ბიძია  
 რევანს თქვენსავით უყვარს ხატვა და მუსიკა. ეს მარიონეტები რევანს გაბ-  
 რიაძემ საგანგებოდ «დილის» მკითხველებისთვის დახატა.



# მეგობრობა გზაა წიგნსაკ



ბავშვები, ხომ უკვე გყავთ მეგობარი? იქნებ თქვენს ეზოში შეიძინეთ ძმობილი თუ დობილი, ან იქნებ საბავშვო ბაღში ან სკოლაში?

აი, ბოცო და გვანცა სკოლაში დამეგობრდნენ! თუ რამე უხარიათ, ერთმანეთს ახარებენ და სიხარული უორკვევდნათ, თუ რაიმე თანუხლებული არიან, წუხილსაც ერთმანეთს გაანდობენ, და ამით წუხილიც გაუნაწივრდებათ. დღეს ისინი თბილისის სტუმრებს უჩვენებენ დედაქალაქს... იმიტომ, რომ თბილისიც ორივეს ერთნაირად ეამაყება და სტუმარც ორივეს ერთნაირად უხარია.

ჩვენს დედაქალაქს, თბილისსაც ბევრი მეგობარი ჰყავს. წინათ საქართველოში მშად რომ გაიფიქვრდნენ, ერთიმეორის იარაღის ვერცხლს ჩააფხუცდნენ ხოლმე ღვინოში და იმ ღვინოს დაღვინდნენ. ესენი ფიციერცხლნაჭამი ძმები იყვნენ.

ქალაქების მეგობრობაში „ფიციერცხლი“ ის არის, რომ ორი ქალაქის მ ერთია, ისე იგი ქალაქის საბჭოები, მეგობრობის ხელშეკრულებას აწერენ ხელს და ზედ თავთავის ბეჭისავე არტყამენ.

გაიცინით ჩვენი ძმადნაფიცო ქალაქები:

## ლიბლიანა

ქალაქია იუგოსლავიაში, და როგორც თბილისია მტკვრის ორსავე ნაპირას გაშენებული, იმახად შუა ჩამოუდის მდინარე ლიუბლიანიცა; ისიც თბილისივით მთებს შორის არის მოქცეული.

## საარკრიკანი

ქალაქია გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში. დიდი მეგობრობა აქვთ გაჩაღებული იქაურ და ჩვენს თეატრებს.

## ინსბრუკი

ავსტრიის პროვინცია ტიროლში მდებარეობს და ისიც მდინარეზე — ინზეა გაშენებული. სიტყვისიტყვიტ ინსბრუკი ნიშნავს ინზე გადებულ ხიდს. აქაური ბუნება

საქართველოს ბუნებას შგავს — მაღალი მთები, თოვლიანი მწვერვალები, ჩანჩქერები... აქ ზოგჯერ იმართება ზამთრის ოლიმპიური თამაშები.

## ლოკი

პოლონეთის მორე ქალაქია სიდიდით და სამრეწველო მნიშვნელობით.

თბილისთან მეგობრობენ სხვა ქალაქებიც:

## ჰოტანადიის დედაქალაქი ედინბურგი

ძალიან ლამაზი ქალაქია. განთქმულია თავისი ბოტანიკური ბაღით, უნივერსიტეტით, რომელსაც მალე 400 წელი შეუსრულდება.

## პალერმო

ნავსადგურია იტალიაში, კუნძულ სიცილიაზე. გაშენებულია საზღვაო ყურეს ნაპირზე, რომელსაც „ოქროს ნიჟარას“ ეძახიან. აქაც, როგორც ჩვენი შვიი ზღვის სანაპიროზე, ხარობს ნარინჯი.

პალერმო ძველთაძველი ქალაქია, ჩვენს თბილისზეც კი ბევრად უფრო ძველი.

აქაურ მუზეუმში ინახება დიდი ისტორიული მნიშვნელობის მქონე ქვის ლოდის ნატიტი, რომელზეც ნაწერილია ძველგვიპტური მატიახის ტექსტი.

## ნანტი

საფრანგეთის ქალაქია. ატლანტის ოკეანის ნაპირზეა გაშენებული.

## იენა

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ეს ქალაქი ცნობილია თავისი უნივერსიტეტით.

დღეს იენის უნივერსიტეტში სასწავლებლად იგზავნიან თბილისელი სტუდენტები, იქაურები კი თბილისში სწავლობენ.

თბილისის მეგობრობა სხვა ქალაქებთან აქაურ ხალხებს შორის გადებული სიყვარულის გზა და ხიდაია.

მთავარი თემა რედაქცია



# და აქტიურ კენჭა თბილისი

თბილისის ბავშვები

მხატვარი სოფიო კინწურაშვილი

ვინ არ იცის ლეგენდა მეფე ვახტანგ გორგასალის მიერ თბილისის დაფუძნებისა? მაგრამ თურმე ჯერ კიდევ მანამდე აბანოების ხეცს ვაღმა, თბილი (ძველქართულად — ტფილი) გოგირდოვანი წყლების ახლოს ყოფილა სოფელი, რომელსაც ტფილისი რქმევია. როცა აქ ქალაქი გაშენდა, ტფილისი მისი ერთ-ერთი უბანი იყო კალასა და ისანთან ერთად. მას მერე ვინ მოთვლის, რამდენჯერ დაარბიეს საქართველოს დედაქალაქი მტრებმა, მაგრამ ის მუდამ მკვდრეთით დგებოდა, მხარს შლიდა და იზრდებოდა იმ გარეუბნებისა და ქალაქისპირა სოფლების შემოერთებით, რომლებიც მის ბაზარს ამარაგებდნენ სანოვაგით თუ კერამიკული ნაწარმით — დოქებით, ჯამებით, ქოთნებით, სამშენებლო აგური-თა და კრამიტით...

დამპყრობლები, საქართველოში ფეხი რომ მოეკიდებინათ და ქართული წეს-ჩვევები მოესპოთ, აქ თავიანთი მოადგმის ხალხს ასახლებდნენ. ერთხელაც დედაქალაქის ძველთაძველ უბანში — ტფილისში თურმე სეიდების ტომი ჩამოასახლეს და უბანს სეიდაბადი ანუ სეიდების ადგილი დაერქვა.

კიდევ გავიდა ხანი და ამ ადგილს ახლა ხარფუხი უწოდეს. რატომ? „ხარბუხა“ ძველქართულად ნიშნავს ძლიერ, „ძნელ“ ხველებას. ჰოდა თურმე, როცა თბილისელ ბავშვებს ყვიანახველა შეეყრებოდათ ან „ძნელი“ ხველება შეანუხებდათ, მშობლებს ისინი მიჰყავდათ თაბორის მთის ძირში ერთ დიდ ქვაზე მისვენებულ ხატთან, რომელსაც ვითომდა შეეძლო ავა-დამყოფის განკურნება. ამ ხატისათვის მიჰქონდათ ძონ-

ძებისაგან შეკერილი, მხარზე ხურჯინგადაკიდებული ტიკინა — ხურჯინში შაქარი-ყინული ან ტკბილეული ელავა წმინდა ხატის „გულის მოსანადირებლად“.

ხარფუხს იქით იყო ორთაჭალა. ძველი თბილისის შემოგარენში მტკვარი იტოტებოდა და რამდენიმე კუნძულს ქმნიდა. მტკვრის ორ ტოტს შუა მოქცეულ ყველაზე დიდ კუნძულს ორთაჭალა ანუ შუაჭალა უწოდეს.

დღევანდელი თბილისის მთავარი მოედნის — ლენინის მოედნის აღმა გაშლილ ტერიტორიას დღესაც სოლოლაკს ეძახიან თბილისელები. აქ ნავიკის ანუ ხალაპის ხევი ხალაკის წყალი ჩამოდიოდა. ეს ხევი ლელვის ხეების სიმრავლით იყო ცნობილი, და ამიტომ კიდევ ლელვთა ხეებს ეძახდნენ. ლელვთა ხევის



ტერიტორიაზე დღეს დედაქალაქის სიამაყე — ბოტანიკური ბაღია გაშენებული.

დღევანდელი ვერისუბანი, ვერა, ადრე თბილისის მახლობელი სოფელი იყო. აქ, ვერისახევში, ჩამოდიოდა მდინარე ვერე, მთელი სოფელი კი ამჟამინდელი რუსთაველის მოედნიდან ბოყოლელებული სოფელ ბაგეამდე იყო გადაჭიმული.

ორასიოდე წლის წინ დღევანდელი საბურთალოს ტერიტორიას საბურთალო ნდორს ეძახდნენ. ახლა საბურთალო თბილისის ერთ-ერთი ყველაზე მჭიდროდ დასახლებული უბანია. საბურთალოს მეზობლად არის ვეძისი — ადრე თბილისის განაპირა სოფელი. ვეძისში უფარგისი წყალი იყო და სახელიც იმიტომ შეერქვა, რომ ვეძა ძველქართულად არის „წყარო, ბუნებთა მლაშე“.

ავლაბარი წინათ ქალაქის ზღუდის იქით იყო გაშენებული — სიტყვის მნიშვნელობაც ეს არის — გალავნის, თხრილის იქითა მიდამო. შემდეგ თბილისმა ავლაბარიც შემოიერთა. ეს საეჭრო უბანი იყო. ერთგან მოედანზე ქარვასლები იდგა, რომ საეჭროდ ჩამოსულ ხალხს ღამე გაეთია. დაღლილ პირუტყვს, რომლებსაც ზურგით ჩამოჰქონდათ საქონელი, ვაჭრები მოედანზე ტოვებდნენ და ბზეს უყრიდნენ. ამიტომ ამ მოედანს ბზის მოედანი დაერქვა. ავლაბარშივე იყო სირაჩხანა, დღევანდელი ღვინის აღმართი (სირაჩ — მელვინის ნიშნავს, ხანა — სახლს). სირაჩხანის ღვინის დუქნებსა და სარდაფებში საუკეთესო ღვინო იყიდებოდა.

დიდუბე ძალიან ძველი სახელია და დიდ დუბეს ანუ

დაცემულ, დაბლობ ადგილს ნიშნავს. დიდუბეში დაუნერიათ ჯვარი თამარ მეფესა და დავით სოსლანს.

როცა საქართველოში ფოთი-თბილისის ხაზით პირველი რკინიგზა გაიყვანეს, რკინიგზის მუშებმა თურმე უნებართვოდ, თვითნებურად, ძალით დაიკავეს ძველი დიდუბის მთისპირა, ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი. ამ დაბას ხალხმა ამიტომ ნაძალად ადევნი უწოდა.

კიდევ რამდენი ძველი და ახალი უბანია თბილისში — თბილისი ხომ უწინდელ თავზრებში ვერ ეტევა, სულ თავისად აქცევს გარეუბნებს თუ მახლობელ სოფლებს — დიღომს, გლდანს, ვაზისუბანს... როდის-როდის აღმოცენდა და ისევ და ისევ იზრდება იგი — ჩვენი დედაქალაქი.



# ბოსო



# ბვანსა

მხატვარი ზურაბ ფორტაძე



ხედავთ, იმ ბორცვზე ციციკის შენობაა მაგრამ იცით, სად ვდგავართ ახლა, საიდან შევცქერით მას? ან რა არის ციციკის პირდაპირ, ან მის იქეთ თუ იქით მხარეს?

აგერ მეტეხის ტაძარი და თბილისის დამაარსებლის ვახტანგ გორგასალის ძეგლი. ამ ადგილას ტაძრის აშენება თვითონ ვახტანგ მეფეს უბრძანებია. მაგრამ ახლანდე-



თბილისობაზე პატარა სტუმრები ჩამოსულან. აბა, ბოცო, აბა, გვანცა, რას აჩვენებთ ტოლებს დედაქალაქში?

რით დავიწყეთ? აი, ეს ფილარმონიაა, აქ იმართება ხოლმე ღიდი, საზეიმო შეხვედრები და კონცერტები, ფესტივალები და წარმოდგენები. ეს ქანდაკება კი... იცით რას გამოხატავს და რატომ დგას ის ამ შენობის წინ? ან ვინ არის მისი ავტორი?







17104

ლი შეტეხი გაცილებით უფრო გვიან არის აშენებული. მეფის ხელისუფლების დროს აქ საპატიმრო იყო, ახლა კი... რა არის ახლა აქ? ან გორგასალის ეს ძველი ვინ გამოაქანდაკა?

აი შოთა რუსთაველის ძველი თბილისის ცენტრში. რა მიღამოებს გაჰყურებს ის? ვინ არის მოქანდაკე?

თბილისს ახალი ღირსშესანიშნაობა შეეძინა ბავშვების გასაზრებლად. რა ადგილია ეს?

ერთ დღეში სველაფრის

შოსწრება ძნელია. მოდით, ახლა ზოგი საბავირო რკინიგზით—ფუნქციონირით, ზოგიც საპაე-რო-საბავირო გზით ჩვენს მთაწმინდაზე ავიდეთ და იქიდან გადმოვხედოთ დედაქალაქს — სველაფერი თვალწინ გადაგვეშლება.



აგერ, მთაწმინდის კალთაზე, მამადავითის ეკლესიასთან ქართველ მოღვაწეთა პანთეონია. აბა, თუ იცით, ვინ არიან აქ დაკრძალულნი?

ხელმარჯვნივ მთაზე ქართველის დედის ქანდაკებაა, მის იქით—ძველი ციხის ნანგრევები... რა ციხეა ეს, ან რა მთებია, გარს რომ შემოსდგომიან ჩვენს ქალაქს?

კიდევ რას ხედავთ საყურადღებოს ჩვენს ქალაქში, დაეკვირდით, და შეეჯობრეთ ერთმანეთს ობილიის ღირსშესანიშნავი ადგილების ცოდნაში.



ქ. მარშის სხვ. სსრ. სსრ.  
სახელმწიფო. ა. ს. ს. ს.

# ჭადოსნური

ინინა ბალიაშვილი


ერთ პატარა გოგონას შკითხეს, სახლში ვინ და ვინ ცხოვრობთო, და მან უპასუხა: — მე, დედა, მამა და ტელევიზორიო.

ხუმრობით კი არ უთქვა ამს, მართლა ასეა. აბა, მიითხარით, არსებობს დღეს სადმე ისეთი ოჯახი, ტელევიზორი რომ არ ჰქონდეს? ზღაპრებში აღწერილი საოცრებებიდან რომელი შეედრება მას! დააჭირე თითი ჯადოსნური ყუთის ჩამრთველს და თუ გნებავს „ზღაპრის გუდას“ უსმინე, თუ გნებავს, მგელი და კურდღელი ახტუნავე.

მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ტელევიზორი მართლა ჯადოსნური ყუთი როდელია. იგი ჩვეულებრივი ელექტრონული არსებია და მის დამზადება-ანყობასაც დიდი შრომა სჭირდება.

თუ თქვენს ტელევიზორებს დახედავთ, აღმოაჩენთ, რომ მათ თავიანი სახელიც ჰქვიათ და საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში არიან დამზადებული.

ტელევიზორს შიგნით რომ ჩახედოთ, დაინახავთ, რომ იგი უთვალავი ნაწილებისაგან შედგება. ტრანსფორმატორი, კინესკოპი, ელექტროლამპაო, სადენებიო, — ვინ მოთვლის მათ სახელწოდებებს. თითოეული მათგანის დამზადება დიდ სიზუსტესა და შრომას მოითხოვს. ამიტომ მათ აკეთებენ ამა თუ



# ყუთი

იმ ნაწილის დამზადებაში განაფული მუშები. სულ ბოლოს მათ ქარხნის სხვადასხვა საამქროში უყრიან თავს, ერთმანეთს უთანხმებენ და აკავშირებენ. მერე აწყობილი ტელევიზორების ხარისხს კიდევ ერთხელ ამოწმებენ, ტელევიზორებს საგანგებო ყუთებში ფუთავენ და მაღაზიებში წასაღებად ამზადებენ. აი, ასე იზადება ტელევიზორი. და არ სასიხარულოა, რომ ჩვენს დედაქალაქშიც არსებობს ფერადი ტელევიზორების ქარხანა.

ქარხანა უკვე მეოთხე წელია, რაც გაიხსნა. მართალია, თავიდან გაუჭირდა მუშაობის დაწყება, რადგან არც სათანადო ტექნიკური აღჭურვილობა ჰყოფინდა და არც გამოცდილი მუშახელი, მაგრამ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქარხნების დახმარებით მალე დასძლია სიმწილები. დღეს მას საკუ-

თარი ახალი მოწყობილობა და დანადგარები აქვს და უკვე გვახარებს კიდევ თავისი გამოშვებული შირველი ფერადი ტელევიზორებით.

თბილისური ტელევიზორი რომ ყველაზე გამძლე, ყველაზე ლამაზი და წუნდაუდებელი იყოს, მონდომებითა და ხალხით შრომობენ ქარხნის მუშახალგაზრდები — გამრჯე ხელდებით ყველაფერს გაბედულად ეჭიდებიან: საამისო ცოდნაც საკმარისი აქვთ — ისინი ხომ იქვე, ქარხნის პროფტექნიკურ სასწავლებელში სწავლობენ.

ფერადი ტელევიზორების ქარხანას წინ დიდი სამუშაოები ელის. მომავალში კიდევ აშენდება ასეთი ქარხნები და დადგება დრო, როცა თბილისური ფერადი ტელევიზორები, სახელად „ივერია“, ტოლს არ დაუდებენ საუკეთესო ტელევიზორებს.



# კერპეტი კაკლავი

## მაჯამურა

რომ არავინ შემოგადროს  
კარგი ბიჭი არა ხარო,  
შენს მამულში სარეველა  
ბალახები . . . . .

გიორგი წამითელი



## წაკითხეთ კრიპტოგრამა


კრიპტოგრამა ბერძნულად საიდუმლო ჩანანერს ნიშნავს (კრიპტო — საიდუმლო, გრამა — ჩანანერი).

თუ ციფრების მაგივრად სწორად ჩასვამთ ასოებს, საათის ისრის მოძრაობის მიმართულებით წაიკითხავთ ქართველი პოეტის ლექსის სტრიქონს თბილისის შესახებ. რომ მოგეშველოთ, თავ-თავის ადგილას ჩავსვით ასოები ა, ბ, გ, და კიდევ —, რომლითაც იწყება ნასაკითხი სტრიქონი.

## სად მიღის?

### ა. გოგიაშვილი

პაწაწინა ცინდალი  
ბაბთით, ჩანთით, ყუველით,  
ნეტაე სად მიტუნცულვებს  
მზიარული კნავილით?!



პასუხი „დილა“ № 9-ში  
დახედავთ გამოცანაზე

ოთხი სამკუთხედი რომ  
მიიღო, მოაცილევ აქ გადა-  
ხაზული ოთხი წყირი.

უღაზე ნახატი ზურაბ ფორჩხიძისა

საქართველოს  
ალექსანდრე  
და ვ. ი. ლენინის  
სახელობის  
პროცენტის  
კომპლექსის  
გამომცემლობის  
საბავშვო  
წიგანთა  
უბრალო  
წიგანთა  
სამსახურის

## მთავარი რედაქტორი ენხორ ნიშარაძე

სარედაქციო კოლეგია: ელვარდ ამოკაძე, ილია ანთელავა, კახური გოგიაშვილი, სოლომონ შ. შუბინაშვილი, ლეილა მარაძე, მანანა კობახიძე, ზურაბ ლეჟაშვილი (პ. შიგინი), ზალა ლოსა-ბერიძე, მავჟალ შიგინიშვილი, ჯურაბ ნაღიბაძე, გიორგი გოგიაშვილი (სახატვრო რედაქტორი), ვივი მანლავი, მანანა ხაჩიძე, ვივი პოინაძე.

## ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქცია, გამომცემლობა, სტამბა — თბილისი, ლეჩხუბის, 14. ტელ. № რედაქციის — 93-41-30, 93-98-18; პ/ს მღერის — 93-10-32, 93-98-18; ს.მ. რედაქციის — 93-98-18; აბრეგ. 93-98-19;

გაზეთი ასაწობად 20/X-82 წ. ხელმოწერილია დასახელებული ქალაქის № 80X90, ფ. ნ. ბ. ფურც. 25, ტირაჟი 167.000. ზეგ. № 2358. „დილა“ № 11. журнал для младшеклассников, на грузинском языке. Главный редактор Э. Нижарадзе. Тбилиси, ул. Лесная, 14. цена 20 м.

გამოცემის  
სახ. კვ. ც. ა-ბ  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии






# ელენე ახვლედიანი

1941/4

საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ელენე ახვლედიანი თბილისის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, ხოლო 1922 წელს სწავლის გასაგრძელებლად პარიზს გაემგზავრა. იქ ხუთი წელი გაატარა. მერე იმოგზაურა იტალიაში. საკუთარი თვლით ნახა იქაური ძეგლები, იტალიის სახელგანთქმულ მხატვართა ნამუშევრები, 1927 წელს კი საქართველოში დაბრუნდა. ელენე ახვლედიანი ძირითადად ბუნების მხატვარი იყო, მაგრამ გარდა ამისა პორტრეტებსაც ქმნიდა და საბავშვო წიგნებსაც აფორმებდა. ძალიან უყვარდა ძველი თბილისის აივნებიანი სახლების, ვიწრო ქუჩებისა და ქუჩაბანდების ხატვა. აქ გამოხატული „ძველი თბილისი“ ელ. ახვლედიანმა 1974 წელს შეასრულა. იგი მხატვრის ერთ-ერთ საუკეთესო ტილოდ ითვლება. — მხატვარს ამ ნახატში ისე მოუყრია აივნებისათვის ერთად თავი, თითქოს ენანება მათი ტილოს გარეთ დატოვებო. სახლების თეთრ სახურავებს და მომწვანო - მოყვითალო ფერს კარგად ესაზღვრება მდიდარი ფერადოვანი ლაქები. თეთრ ფონზე,



სახლების წინ, ხალხი სეირნობს. კუთხეში ორი ხეა, შორს სივრცეში, ბურუსშია ჩასმული პატარა სახლები, პორიზონტი დაბლაა დაშვებული და ცა

არ ჩანს. ნახატის ყველა ნაწილის ასეთი თავმოყრის გამო, სურათი ძალიან მეტყველი, პლასტიკურია და დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

ელენე ახვლედიანის შრავალი სურათია გამოფენილი საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, სადაც შეგიძლიათ მოაწყოთ ექსკურსიები.